



16 მაისი, 2018 წ.
ინფორმაცია მედიისთვის

„სახელმწიფო ფინანსებზე საკანონმდებლო ინიციატივების გავლენის შეფასება და რეგულირების ზეგავლენის შეფასება“

პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

17-18 მაისს, თბილისში, საქართველოს პარლამენტში, გაიმართება საპარლამენტო კვლევებისა და დოკუმენტაციის ევროპული ცენტრის (ECPRD) სემინარი თემაზე - „სახელმწიფო ფინანსებზე საკანონმდებლო ინიციატივების გავლენის შეფასება და რეგულირების ზეგავლენის შეფასება“.

17 მაისს 13.00 საათზე, ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში, ღონისძიებას გახსნიან და სემინარის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართავენ: პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვჩანაძე, პარლამენტის აპარატის უფროსი გივი მიქანაძე და იტალიის დეპუტატთა პალატის სახელმწიფო ბიუჯეტის დეპარტამენტის უფროსი პაოლა ბონაჩი.

ღონისძიებაში მონაწილეობას 22 ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს, რომლებიც საპარლამენტო კვლევებისა და დოკუმენტაციის ევროპული ცენტრის წევრი ქვეყნების პარლამენტების კვლევით/ანალიტიკურ სამსახურებსა და საბიუჯეტო ოფისებს წარმოადგენენ.

სემინარის მიზანია რეგულირების გავლენის შეფასების, ასევე სახელმწიფო ფინანსებზე საკანონმდებლო ინიციატივების გავლენის შეფასების მიმართულებით გამოცდილების გაზიარება. სემინარი მოიცავს სესიებს როგორც რეგულირების გავლენის შეფასების ინსტიტუციური ჩარჩოს, ისე მეთოდოლოგიური ასპექტების შესახებ.

ECPRD 1977 წელს შეიქმნა და იგი დღეისათვის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ევროპარლამენტის პატრონაჟით ფუნქციონირებს. მის წევრებია: ევროპარლამენტი, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და 54 ქვეყნის 66 პალატა. აგრეთვე, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური სტუმრის და დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყნების პარლამენტები (აშშ, კანადა,

ისრაელი, მაროკო, პალესტინა). საქართველოს პარლამენტი ECPRD-ის საქმიანობაში 1999 წლიდან არის ჩართული.

ECPRD-ის მიზანი, ევროპაში პარლამენტების ადმინისტრაციებს შორის ინფორმაციის, იდეების, გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობაა. ასევე საპარლამენტო ადმინისტრაციის, კანონმდებლობის, ინფორმაციის, კვლევის და დოკუმენტაციის სფეროებში საპარლამენტო სამსახურებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის გაძლიერებაა.

საკონტაქტო ინფორმაცია

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი
მადონა ნოზაძე, დეპარტამენტის პრესცენტრის უფროსი, 599-557978 | MNozadze@parliament.ge